

საქართველოს კანონი
„საქართველოს დედაქალაქის - თბილისის შესახებ“ საქართველოს კანონში
ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „საქართველოს დედაქალაქის – თბილისის შესახებ“ საქართველოს კანონის (პარლამენტის უწყებანი, N11-12, 14.03.1998, გვ. 42) 9¹ მუხლის მე-2 პუნქტის „კ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„კ) გარე ვაჭრობის რეგულირება, მათ შორის, ბეჭდვითი პროდუქციით (გაზეთი, ჟურნალი, წიგნი) გარე ვაჭრობის რეგულირება – მხოლოდ „ბეჭდვითი პროდუქციის გავრცელების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად;“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი

მიხეილ სააკაშვილი